№ 273 დეკემბერი 17, ოთხშაბათი 1886 დეკემბერი 17, ოთხშაბათი № 273

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	7 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტერ-გრიგოროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1887 წლისთვისაც მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9. ბ) შავერდოვის საგაზეთო სააგენტოს (გოლოვინის პროსპექტი, ალექსანდრეს ბაღის ყურეში).

ქუთაისში: ვარლამ ჰილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ჩათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისის კლუბის დარბაზში
შაბათს, დეკემბრის 20 ს,
დანიშნულია
სამუსიკო - სალიტერატურო

საღამო

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნ ბ. მ. ზარუდნაია, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ე. ი. ასლამაზოვისა. ბბ-ნნი მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი, გ. ო. ყორღანაშვილი, თ. აკაკი წერეთელი, თ გ მ. თუმანიშვილი, კ. ს. მესხი, ქ. ქ. გორსკი და ბ. პრიბიკი.

კონცერტის შემდეგ დაიწყება ცეკვა.

ბილეთები ისყიდება კლუბის შვეიცართან.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 ქრისტიშობისთვეს, ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან ბბ. კ. მესხის და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ჟან-ბოდრი

კომედია 4 მოქმედებად, თხზ. ვაკრისა, თარგ. თ. მაჩაბლისა.

მოთამაშენნი: ბბ. ყიფიანი, მესხი, აწყურელი, მაქსიმიძე და სხვანი; ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, ლეონიძისა.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 16 დეკემბერი

ამ უკანასკნელ ხანებში მოსულ გაზეთებს თუ დავუჯერეთ, ინგლისის საქმე დღეს ჭახდრაკულად უნდა იყოს. ცალკე საფრანგეთია ინგლისზედ აღურსებული ეგვიპტის გამო, ცალკე ოსმალეთი და ცალკე რუსეთი იმის გამო, რომ ბოლგარიაში ინგლისი ჩუმად და მალულად რაღაც ხელებს აფათურებს და ეხლანდელს რეგენტობას აქეზებს ურჩობისათვის. შეუპოვარი და ამასთან ყველასაგან ცნობილი ხერხიანი საგარეო პოლიტიკა კონსერვატორებისა, რომლის მეთაურადაც არის დღეს დღევანდელი მთავარ-მინისტრი ინგლისისა სალისბერი, იქნება ამდენის სახელმწიფოების სამდურავს და წყრომას გასძლოლოდა, ერთს როგორმე მოჰრიგებოდა, მეორესათვის როგორმე თავი მოექონა და დღევანდელ საპოლიტიკო ბარდებიდამ ამ გზით თავი დაეღწია, მაგრამ უბედურება ინგლისისა ის არის, რომ შინ მეტის-მეტად მწვავე ტკივილი აქვს და საშიშარი ეს იმიტომ არის, რომ სენი ტანში უდგა და ძვალ-რბილში გამჯდარი აქვს დიდის ხნიდამვე. ირლანდია აღარა ჰხუმრობს. დიდი მზადებაა იქ გულ-და-გულ დახვედრისათვის, რადგანაც ინგლისის მთავრობამ ძალა მიიტანა და უნდა შიშითა და შიშის ზარით მოარჯულოს სამართლიანად გულ-გამწყრალი და უკანზედ აყენებული დაჩაგრული ირლანდია.

სწორედ ეს არის მიზეზი, რომ დღეს ინგლისს თითქმის ენა მუცელში აქვს ჩავარდნილი და საგარეო საქმეთა გამო ხელი ისე ვერ გამოუღია, როგორც ჩვეულნი არიან დღევანდელნი მმართველნი ინგლისისა,—კონსერვატორები. ინგლისს პირველში ძალიან უნაროდა ბოლგარიის საქმეთა აშლილობა. ეგონა, რომ რუსეთს ამ საქმეში გავაბამო, რადგანაც ბოლგარიის საქმეთა ასე თუ ისე დაწყობა არამც თუ მარტო სახელია რუსეთისათვის, არამედ მეტის-მეტად დიდი ინტერესიც არის და რუსეთი ვეღარ მოიცლის წინ ამეხიდოს შუა-აზიაშიო. დღეს, როგორც სჩანს გაზეთების სიტყვიდამ, აქაც ხელი უნდა დაიბანოს ინგლისმა: აქაც მისმა განზრახვამ ფრთა შეიკვეცა. ევროპას სულ სხვა ფერი დაედო მას აქედ, რაც „Правительственный Вѣстникъ“-მა გამოსთქვა, რომ რუსეთი დიდის ყურადღებით ექცევა გერმანიის ინტერესებსა და ამასვე მოელოდება გერმანიისაგან რუსეთის ინტერესებისათვისაო და ამასთანაც ზედ დაატანა, რომ მეგობრობა რუსეთისა გერმანიასთან და გერმანიისა რუსეთთან ორისავე სახელმწიფოთათვის მეტად საჭიროა და შეურყეველს სურვილს და წადილს შეადგენს ორისავე სახელმწიფოების მთავრობისასაო. გერმანიის მთავრობის მომხრე გაზეთებმა დიდი სიხარული მოჰფრთეს, რაკი ჰნახეს, რომ რუსეთის მთავრობის გაზეთი ასეთის ნდობით და სიყვარულით ჰლაპარაკობს გერმანიაზედ და მის მეგობრობაზედ ასე დაიმედებულია. ამ ამბავმა ბევრს ყური ააცქვეტინა. ნამეტნავად ინგლისის გაზეთები გასწყრნენ და ამ წყრომაში თითქო იმის შიში ისმის, რომ ისევ არ აღსდგეს ამ ბოლოს ხანებში შერყეული „სამთა კავშირი“, რომელიც ინგლისს ღობეს გარედ სტოვებს. მით უფრო საგრძნობელია ეს ინგლისისათვის, რომ ინგლისს დიდი იმედი ჰქონდა გერმანიისა, რომელზედაც, მისის ფიქრით, დამოკიდებულია ავსტრი-ვენგრია და ეგონა, რომ გერმანია უშველის ინგლისს წააქეზოს ავსტრი-ვენგრია იარაღით ხელში მოქმედებისათვის. ამ სახით აქაც გაუცუდდა ინგლისს იმედი და ეხლა სხვა იმედი გაუჩნდა. რაკი ინგლისი ჰხედავს, რომ გერმანიის მხრით ბევრი არა ეშველება-რა, სხვაფრივ გამოილაშქრა და მისი გაზეთები ბუკსა სცემენ მითამდა წინდაუხედავთა საფრთხილად. რაკი გერმანია და რუსეთი ერთმანეთს გაუმეგობრდნენ, ავსტრი-ვენგრიამაც ხმა უნდა გაკმინდოსო და ძალა-

---

ფელეტონი

ქართული თეატრი

(„გავიყარნეთ“ და „ხანუმა“)

7-ს დეკემბერს ქართულს თეატრში წარმოადგინეს პირველად ახალი პიესა „გავიყარნეთ“. ეს პიესა თავ-და-პირველად ეკუთვნის სახელ-განთქმულს მწერალს საფრანგეთისას სარდუს და ფრანგულად ჰქვიან: ‹Divorçons›. არ ვიცით, ბ-ნი სარდუ იცნობდა-ღა თავის შვილს, რომ იგი ენახა ჩვენს სცენაზედ? ჩვენ ამას იმიტომ ვამბობთ, რომ მისი „დივორსონი“ ჯერ აუღია ვილასაც და რუსულად გადაუკეთებია, მერე რუსულად გადაკეთებულიდამ ქართულად გადმოუკეთებია ბ-ნ აბაშიძეს,—და ამ გადაკეთებ-გადმოკეთებაში თავისი შნო და მარილი სრულად შერჩენია თუ არა,—ეს თუნდა კოდელ ნინოსა ვკითხოთ.

რომ რუსულიდამ ქართულად გადმოკეთებაში ბევრი არაფერი დაჰკლებია ამ პიესას, ამას კი გულ-და-ჯერებით ვიტყვით, იმიტომ-რომ ქართულში გადმოკეთებულია მარტო სახელი და გვარები მომქმედ-პირებისა, მოსკოვის სასტუმრო ‹Славянскій Базаръ›-ი ტფილისის სასტუმროდ „ლონდონად“ არის გადაქცეული, მოსკოვის ქუჩა, ვგონებთ, „Мясницкая“, ავლაბრად მონათლულია და სხვა ყოველისფერი კი ისეა, როგორც რუსულად გადაკეთებულში. როგორც ვატყობთ, ჩვენში ჯერ გამორკვეული არ არის: რას უნდა დაერქვას გადმოკეთება? ამას განმარტება სდომებია, როგორცა სჩანს და ჩვენც ნუ გვეკიჟინებენ, რომ ამ განმარტებას ორიოდე სიტყვა მოვანდომოთ.

სამართლიანად ჰნატრულობენ ბევრნი ჩვენგანნი, რომ ჩვენმა ქართულმა სცენამ რაც შეიძლება ხშირად გაგვიტაროს თვალ-წინ ჩვენის ცხოვრების ხატი და ამ ხატში გაგვიხორციელოს აზრი და საგანი ასე თუ ისე მიმავალ წუთის სოფლისა. ხატი ცხოვრებისა ადამიანის ხასიათშიაც გამოითქმის და ზნეშიაც. ამიტომაც სასცენო ხელოვნებაში უფრო ორ-გვარი კომედიაა, ერთი კომედია ხასიათთა და მეორე—კომედია ზნე-ჩვეულებათა. არ არის ქვეყანაზე არც ერთი იმისთანა კომედია, რომ ან ერთის ამ გვარისაკენ არ იყოს მიხრილი, ან მეორესაკენ, ან ერთს ამ გვარს არ ეკუთვნოდეს, ან მეორესა. ხასიათი და ზნე-ჩვეულება ყველგან არის, მაგრამ ყოველის თესლის ერს თავისი განსხვავებული ხასიათი აქვს და ზნე-ჩვეულება. იმიტომ-რომ ხასიათის და ზნე-ჩვეულების ასე თუ ისე აგებაზედ მოქმედებს მთელი კრებული იმ გარემოებათა, რომელთ წრეშიაც სული და ხორცი დიდი ხანი უტრიალებია ერს და დღესაც ატრიალებს. შორს რომ არ წავიდეთ, ჯერ თუნდ ადგილ-მდებარეობა ვიქონიოთ სახეში, მიწა-წყალი, ერთობ კაცთ-გარეთი ბუნება—ესეც კი ძლიერ მოქმედებს ადამიანის ხასიათისა და ზნე-ჩვეულების სხვა-და-სხვაობის შესაქმნელად. ჯერ ერთისა და იმავე თესლის კაცი მთიული და ბარელი აიღეთ და ამათშიაც, ხასიათს მიხედვით თუ ზნეს, თვალ-საჩინო განსხვავებას იპოვით და რაღა ითქმის იმ კაცებზედ, რომელნიც სულ სხვა-და-სხვა თესლისანი არიან და სხვა-და-სხვა ქვეყნის შვილნი. თუ ესეა, რაღა გვეთქმის ერის ისტორიასა, საოჯახო და საზოგადოებრივს წყობილებაზედ და ერთობ იმ რთულ და მრავალ გვართა ხილულთა და არა-ხილულთა ძალთა ყოვლად ძლიერ ზედ-მოქმედებაზედ, რომელნიც შიგნიდამვე ჰქმნიან ხასიათსა და ზნე-ჩვეულებასა ერთისა თუ მეორე ერისას.

ამიტომაც როცა სასცენო ხელოვნება სხვისის ცხოვრების ხატსა ჰკიდებს ხელს ჩვენს სცენაზედ გადმოსატანად, ორში ერთი უნდა იქონიოს სახეში: ან იგი, რომ სხვისი ცხოვრება, ხასიათს, თუ ზნე-ჩვეულებაში გამოთქმული, გვაცოდინოს ისე, როგორც არის, უტყუარად და შეუცვლელად, ან იგი, რომ მარტო აზრი, საგანი აიღოს, თუნდა მთელი აგებულებაც პიესისა, ოღონდ იქ კი, სადაც სხვისა ხასიათი, ზნე-ჩვეულება და ვითარება ცხოვრებისა არ შეგვეფერება, არ გვეხდება, გვეუცხოება,—იქ ჩვენი ხასიათი, ჩვენი ზნე-ჩვეულება, ჩვენის ცხოვრების ვითარება ჩააყენოს. ამით უცხო ხატი სხვისის ცხოვრებისა ცოტად თუ ბევრად ჩვენის ცხოვრების ხატად გარდიქმნება და რამოდენადაც ეს გარდაქმნა დიდია, იმოდენად ნაშრომი კარგია და მოსაწონი. პირველს შემთხვევაში ნაშრომს თარგმანი ჰქვიან და მეორეში „გადმოკეთებული.“ გადმოკეთებას სხვა აზრი არა აქვს, სხვა არავითარი საბუთი არა აქვს, თუ არ იგი, რაც ჩვენა ვსთქვით ამის შესახებ.

გადმომკეთებელს უფრო დიდი საგზალი უნდა, უფრო მეტი ღონე სჭირია, უფრო მეტი ცოდნა, უფრო მეტი ნიჭი, ვიდრე მთარგმნელსა. გადმომკეთებელს ის ღონეც უნდა ჰქონდეს, რაც მთარგმნელს, და ამას გარდა თვით-მომქმედი ძალიც შემოქმედობისა. იმიტომ-რომ საგნადა აქვს იგი ხატი კი არა, რომელიც მზად გამოსახულია პიესაში და რომელსაც მარტო გადაღება-ღა უნდა, არამედ იგი, რომელიც პიესაში არ არის და ახლად შექმნა სჭირია, რომ ჩვენის ცხოვრების ხატად გვეჩვენოს. აქ ხორცთ—უსხმელნი შთაბეჭდილებანი სულ ახალის, თუმცა კი წინადვე განცდილის, ნათვალიერების და ნახულის ცხოვრებისა ხორც-შესხმას ჰთხოულობენ და ამისათვის ცოტად თუ ბევრად საჭიროა ცხოველ-მყოფელი ფანტაზია და ძალი შემოქმედობისა, როგორცა ვსთქვით. ამ სახით, გადმომკეთებელი უფრო თვით-მომქმედია, ვიდრე მთარგმნელი, რომელიც, რაც უნდა ვსთქვათ, მაინც ცოტად თუ ბევრად მონაა მისი, ვისაც სთარგმნის. გადმომკეთებელს კი შეუძლიან თავი მოიწონოს იმით, რომ ქარგა სხვისაა, იქმნება ფერადიც სხვისა იყოს, მაგრამ სახე კი ჩემია და ჩემი ნაქსოვიაო. ეს „ჩემი“ დიდი სამაცდურო რამ არის და ამით თუ აიხსნება იგი, რომ პირ-და-პირ ნათარგმნი ხშირად „გადმოკეთებულის“ სახელით აგვეტუზება ხოლმე თვალ-წინ. გადმოკეთებას უფრო დიდი აბრუ აქვს და ამ აბრუს დაკუთნებაზედ ბევრი უსაბუთოდ ხელს იწვდის ხოლმე.

გადმოკეთება პიესისა ისე, როგორც ჩვენ ჩვენის შეძლებისამებრ ალენიშნეთ, დიდად საპატიო შრომაა, ვისაც კი შეუძლიან. რა თქმა უნდა, ჩვენი საკუთარი პიესები რომ გვქონდეს, იმას არა ემჯობინება-რა, მაგრამ როცა ეგ არ არის, მაშინ გადმოკეთება რიგიანის პიესისა ორს კურდღელს ერთად დაგვაჭერინებს: ერთი რომ ყოველი რიგიანი პიესა საყურებლად სასიამოვნოა და ჩვენს საკუთარს ურიგო პიესაზედ ბევრად სამჯობინარია და მეორე—თუ კარგად გადმოკეთებულია, ჩვენს ხასიათსა და ზნე-ჩვეულობაზედ, ნატვრას ჩვენის საკუ-

უნებურად მიემხროს ამათა, რადგანაც უგერმანიოდ ავსტრი-ვენგრიას გაჭაჭანებაც არ შეუძლიანო და ამ სახით „სამთა კავშირი“ კვლავ ფეხზედ დადგებაო. ღობის გარედ ვინღა უნდა დაჰრჩესო? ჰკითხულობენ გაწიწმატებული გაზეთები ინგლისისა. საფრანგეთი, ინგლისი და იტალიაო, ამბობენ იგინივე პასუხად და ამით გულის-ტკივილს იფონებენ. აი ეხლა რა ახალი იმედი გასჩენია ინგლისსა. მაგრამ ჭირი ეს არის, რომ საფრანგეთთან ინგლისს მეტად მწვავი სალაპარაკო საგანი აქვს დღეს; იტალიაც, როგორღაც ვერ არის კარგად განწყობილი საფრანგეთთან. კარგად რომ დაუკვირდეს კაცი, იტალია ვერც ინგლისთან უნდა იყოს ძალიანის სიყვარულით. იტალიას, როგორც ხმელთა-შუა ზღვის სახელმწიფოს, როგორღაც გუნებაში ვერ მოსდის და ვერ ეჭაშნიკება გაძლიერება ვისიმე ამ ზღვაზედ გავლა-გამოვლისათვის. საფრანგეთი და ინგლისი, თუ დღეს ერთმანეთზე გულ-ნაკლულად არიან, ერთმანეთს ეჯიბრებიან, მარტო იმისთვის, რომ ამ ზღვაზედ გზა, რამოდენადაც შესაძლოა, სხვის დაუკითხავად იქონიონ. იტალიას არ უნდა ეჭაშნიკებოდეს, არც ერთის გამარჯვება აქ ცალკე, არც მეორისა და არც ორივესი ერთად.

თუ ამ ორ სახელმწიფოთა გარდა სხვა კიდევ ჩამოერევა ამ ზღვის საქმეში და ისიც წილში ჩადგომას მოინდომებს, მაშინ, რასაკვირველია, იტალია სიხარულით მიემხრობა საფრანგეთსა და ინგლისს, რომ მესამე მოცილე საერთო ძალით თავიდამ აისხლიტოს. მინამ ეს არ არის და ბურთი ცილობისა მარტო ინგლისისა და საფრანგეთის შორის არის გაგდებული, იტალია გულით და სულით არც ერთისათვის ხმელთა შუა ზღვაზედ გამარჯვებას არ ინდომებს და რომ ღონე ჰქონდეს, გულ-და-გულაც წინ დაუდგება. ამის გამო ვერც ამ ახალს იმედს ინგლისისას დიდი საგზალი და დიდი ფესვები ვერ უნდა ჰქონდეს. ამას კი თქმა არ უნდა, რომ თუ ინგლისი დაინახავს, საჭიროა ჩემთვისაო საფრანგეთი და იტალია, ერთსაც მოშველდება ეგვიპტის საქმეში და მეორესაც შესაფერს თანხებს მისცემს და ქსელს საპოლიტიკო ძლიერებისას აქ გაიბამს. მაგრამ საფიქრებელი ეს არის: საფრანგეთთან მოშველება, როგორც დღესა სჩანს, შეუძლებელია, თუარა დაუთმო-რა,--და ამ დათმობას იუაბულებს კი ინგლისის ერი? სათრთხილებელია, რომ ამაზედ ფეხი არ წამოიკრას სალისბერის სამინისტრომ და არ დაემხოს. სალისბერის ეს შიში უნდა ჰქონდეს მით უფრო, რომ სხვა შიშიც კარზედ მისდგომია: ლიბერალნი-დისიდენტები როგორღაც ალმაცერად უყურებენ საირლანდიო პოლიტიკასა ეხლანდელის სამინისტროისას და არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ სალისბერის სამინისტრო დღეს სულდგმულობს, მაგათის მომხრეობის წყალობით არის ეგ. არა გვგონია, ამ გლადსტონისაგან გადადგომილ ლიბერალთა დიდხანს გაუძლონ ირლანდიაში თითქმის ცემა-ტყეპის პოლიტიკას ეხლანდელის სამინისტროისას: ძალით მორჯულება სამართლიანად გამწყრალის ერისა ლიბერალთა არსებითს მოძღვრებას ძირს უთხრის და ეწინააღმდეგება. ეს ერთი; მეორე ისა, რომ ამ გვარი პოლიტიკა ირლანდიის ერს უფრო-და-უფრო ამწარებს და ვინ იცის, რა მოხდეს. ნიშნებია, რომ საქმე არეულობამდე მიაღწევს და ლიბერალნი-დისიდენტები ამის ბრალს თავის დღეში კისრად არ აიღებენ. ამ მხრით ეხლანდელი სამინისტრო სალისბერისა ცოტა არ იყოს განსაცდელშია და ამას კარგადა ჰგრძნობს სალისბერი.

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ მოგვივიდა სანიმუშო ნომერი ახალის ქართულის გაზეთისა „ცისკარი“. ახალი სამეურნეო გაზეთი „ცისკარი“ ზომით „დროების“ ოდენია. გარეგნობით სუფთაა და კარგს ქაღალდზეა დაბეჭდილი. სანიმუშო ნომერში დაბეჭდილია: მეთაური წერილი, ფელეტონი, წერილები: „მიწის შემუშავება“, „მიწის ნოყიერების და მის გაძლიერების ზომები“ და ბოლოს წერილი ამბები სხვა-და-სხვა ავად-მყოფობის წამლობისა. ამ ბოლო განყოფილებას საერთო სახელი აწერია „ჰიგიენა“. სანიმუშო ნომერი ჰღირს 5 კაპ.

⁂ დრამატიულის საზოგადოებისაგან მოწვეული ქუთაისიდამ ბ-ნი კ. მესხი ჩამოვიდა ტფილისს და მიიღებს მონაწილეობას ქართულ წარმოდგენებში. პირველად ითამაშებს ხვალ, ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, ვაკრის ოთხ-მოქმედებიანს დრამაში „ჟან-ბოდრი“ (თარგმნილია თ. ივ. მაჩაბლისაგან). ამავ წარმოდგენაში მიიღებს მონაწილეობას ბ-ნი კ. ყიფიანი (თვით ‹ჟან-ბოდრის› ითამაშებს). და აგრეთვე ქ. საფ.-აბაშიძისა, ბბ. გუნია და აწყურელი.

აბონიმენტის ბილეთს ამ საღამოს, მსურველთათვის, ძალა ექნება.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ იმ კვირია, დეკემბრის 26-ს, ქართული ხორო ბ-ნის ვ. ალნიაშვილისა გაჰმართავს მეორე კონცერტს. ამ კონცერტზედ ხორო ბევრ სხვა ახალს ქართულს ხმასაც იტყვის და უფრო საინტერესო იქნებაო, როგორც ამბობენ, ვიდრე პირველი, რომელმაც დიდად ასიამოვნა ქართველთ საზოგადოება. მომღერალთ მეორე კონცერტში ჩოხების მაგიერ ქულაჯები ეცმევათო. ქულაჯები და საზოგადოდ ძველებური ქართული ტანისამოსი ხოროს გამმართველს განგებ შეუკვეთინებია და საკმაო ფულიც დასჯდომია.

მეორე დღეს, 27 დეკემბერს, ხორო წავა გორში და იქ გამართავს კონცერტს. 28 დეკემბერს ხორო ქუთაისს გაემართება და 29 იქაც გაჰმართავს ერთს კონცერტსაო.

ვისურვებთ, რომ ჩვენს საზოგადოებას ყველგან ღირსეულის თანაგრძნობით მიეღოს და მით დაეჯილდოვებინოს პირველის ქართულის ხოროს სასარგებლო შრომა და ღვაწლი.

⁂ ამ რამდენისამე წლის წინად ტფილისის საქალაქო გამგეობამ დააწესა თანამდებობა საქალაქო ტეხნიკისა, რომელსაც დაუნიშნა ჯამაგირად წელიწადში 1,200 მან. ამ ტეხნიკს ქალაქმა დაავალა, რომ შეეტყო და ცნობაში მოეყვანა, სად რამდენი თავისუფალი მიწა და მამული აქვს ქალაქს როგორც თვით ქალაქში, ისე ქალაქის განაპირას. ტეხნიკს ცნობაში მოუყვანია ქალაქის თავისუფალი მიწები რკინის გზის ლიანდაგის აქედ-იქით და აღმოჩენილა, რომ ლიანდაგის დასავლით სულ 24,456 ოთხ-კუთხი საჟენიაო. აქედამ ქუჩებს უჭირავთ 3,313 ოთხ-კუთხი საჟენი და ცხენის-რკინის-გზის საჯინიბოსა და თავლებს 7,410 ოთხ-კუთ. საჟენიო. მაშასადამე, თავისუფალი მიწა რჩება კიდევ 13,913 ოთხ-კუთხი საჟენი.

რკინის გზის აღმოსავლეთით ნემეწცების სასაფლაომდე სულ 129,312 ოთხ-კუთხი საჟენი აღმოჩენილა საქალაქო მიწა და მამული. აქედამ საჭირო ქუჩების გასაყვანად გადადებულია 31,984 ოთხ კუთხი საჟენი, მაშასადამე თავისუფალი რჩება კიდევ 97,407 ოთხ-კუთხი საჟენი. სულ ორთავ მხრივ არის 153,777 ოთხ-კუთხი საჟენი.

⁂ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქალაქს დაყოფილი აქვს ეს თავისუფალი მიწები სასახლ-კარო ადგილებად. თითო სასახლ-კარო ადგილისათვის გადადებულია 80 ოთხ-კუთხი საჟენიდამ დაწყობილი 500-მდე და ვაჭრობით ისყიდება. ყველგან, საცა ვიწროობაა ქალაქში და ხალხი შეჯგუფული სცხოვრობს ქოხმახებისა და ალაჩუხების მსგავს სადგომებში, ქალაქი ნებას არ აძლევს ამ სახლების გადაკეთებისას და ეუბნება, რომ თავისი ადგილი მიჰყიდოს მეზობელს და თავად კი მუქთად მიიღოს ქალაქის მიწა სასახლ-კაროდ. ეს განკარგულება იმიტომ მოახდინა ქალაქმა, რომ მოსპოს საშინელი სივიწროვე ზოგიერთს უბნებში, გააფართოვოს ქუჩები და ახალი სახლები უფრო ჰაგიენურად ააშენებინოს მცხოვრებელთ.

⁂ კვირას, ნაშუადღევის ორს საათზედ, იყო აქტი ტფილისის სავაჭრო პროგიმნაზიისა, რომელიც გაიმართა 2 სექტემბერს 1885 წელს. სულ ამ სასწავლებელში 104 შეგირდი ირიცხება. ამათში მართლ-მადიდებელნი არიან 38, სომხები 49, კათოლიკენი 5, ლუტრანნი 7, მუსულმანი 1 და ებრაელი 6. აქტზედ დაესწრო სხვათა შორის ეგზარხოსის თანამდებობაზე დროებით დანიშნული ეპისკოპოსი ალექსანდრე და სწავლა-განათლების მზრუნველი იანოვსკი.

თარისას ცოტად, თუ ბევრად აკმაყოფილებს. ჩვენ თუ დღეს ამ გადმოკეთებაზედ სიტყვა ჩამოვაგდეთ, აზრად ისა გვქონდა, რომ ეს ორ-კეცი კმაყოფილება სახეში იქონიონ მათ, ვინც საპატიო შრომას სხვის პიესის გადმოკეთებისას ხელსა ჰკიდებს.

წარსულ კვირას წარმოდგენილი „გაეყარნეთ“ პირველს საჭიროებას გადმოკეთებულის პიესისას საკმაოდ აკმაყოფილებს. პიესა რიგიანია ყოველის მხრით, სასიამოვნო საყურებელია და არა ნაკლებ სასიამოვნოა სასმენლადაც, რადგანაც აზრიანია, მერე მეტისმეტად თანა-საგრძნობი აზრიანი და კაცი ხალისიანად ადევნებს გულისყურს ბოლომდინ. ვერ ვიტყვით, რომ ნასკვი პიესისა (**завязка**) ღრმად ჩასაფიქრებელს რასმეს მოასწავებდეს, ან ისე რთულად შეკრული იყოს, რომ მისი გამოხსნა ატყვევებდეს ადამიანის ყურადღებას და იზიდავდეს ჭკუა-გონებასა. პიესა აგებულია ერთს სადა აზრზედ, რომელსაც მით არა ნაკლები ადგილი უჭირავს ადამიანის ყოველ დღიურ ცხოვრებაში ხან ერთის სახით, ხან მეორის სახით და რომელიც ხშირად დიდ უბედურობის სათავედ და მიზეზად შეექმნება ხოლმე ადამიანს, თუ კაცმა მართალი, ბუნებური ძარღვი ვერ უპოვა, თვის ცხოვრებაში განუკითხველად უადგილო ადგილი დააჭერინა და სადავე მიანება, ერთის სიტყვით, თუ რიგიანად არ მოუარა და არ გაუძღვა.

თუმცა ამ პიესაში მიზეზი ცოლ-ქმართა აშლისა, რომელმაც გაყრის სურვილამდე და გადაწყვეტილებამდე მიაღწია, ჩვენს ცხოვრებაზედ მეტად შორს არის ასე, რომ სრულებით არ უხდება არც ჩვენს ზნე-ჩვეულებასა, არც ჩვენს ხასიათსა, არც ჩვენებურის კაცის თუ ქალის გულის ტკივილსა, მაგრამ იგივე სხვა გულის მოძრაობიდამ, სხვა გულის ნადებთაგან მოივლინება ხოლმე ხშირად ჩვენ შორისაც, და რადგანაც კაცმა მისი ჯეროვანი გაძღოლა არ იცის, თვითონაც იმწარებს ცხოვრებასა და სხვასაც უმწარებს. საქმე ის არის, რომ გულ-უბრყვილო, გულ-წმინდა შეცდომილებას, უგუნურს და უცოდველს გატაცებას, თუნდ ბიწისა და ბოროტისაკენ, ახირება და ბორკილი უფრო გამოადგება წამლად და გამოსაკეთებლად, თუ ტკბილად და დაყვავებით მოქცევა? ავტორი გვასწავებს, რომ ტკბილად მოქცევა ამ შემთხვევაში უებარი წამალია ცდომილის მორჯულებისათვის. ჩვენა ვსთქვით, რომ იგი ნასკვი, საიდამაც ამ პიესაში ცდომილება წარმოსდგა და ცოლ-ქრმობა შეარყია, ჩვენს ცხოვრებაში სრულებით იმ ძაფთაგან არ გამოინასკვება, მაგრამ თვითონ მაგალითი და გზა გამოკეთებისა ისე ზოგადია, ისე მშვენივრად და ნათლად არის გარკვეული, ისე ცოცხლად არის გატარებული, ისეთის ხერხით და ჭკუითა, რომ მაყურებელს ვინც უნდა იყოს, ერთნაირად გული ბოლომდის ინტერესით უცემს, ვნახოთ ერთი რა გამოვაო. სიმართლე ამ გზისა საყოველთაოა, კაცობრიულია და ყველასათვის მეტის-მეტად საგულის ყურო.

სეიმონ ლომინიძეს კარგა მდიდარს და ამასთანაც ჭკუა-დამჯდარს და გამოცდილს ყმაწვილ-კაცს ცოლად ჰყავს ყმაწვილი ქალი ნინო. ქალი არ არის უჭკო, მაგრამ ცოტად თუ ბევრად ჭკუა შელახული აქვს წინ-დაუხედავის სწავლითა და ურიგო, გულდაუდებელ წვრთნითა და გაზდილობითა. მაგრამ არც კი ისე წარამარად მოუბარია, როგორც თითქმის ყველა ეხლანდელი ზეზეურა და ნასწავლი ქალი, რომელიც ქალის საზოგადოდ დაჩაგრულს ყოფას თითქმის მარტო იმაში ჰხედავს, რომ მამაკაცსავით თავისუფალი არ არის გაუკიცხავად გულის-წადილს აჰყვეს და ტრფიალების ეშხით დაითროს ქინი გულისა.

> „თქვენ მამა-კაცთა რა გიჭირთ, ეუბნება ერთგან ცოლი ქმარსა: თქვენ-თქვენი საქმე ლამაზად მოგიწყვიათ. მინამ უცოლონი ხართ და ყმაწვილ-კაცობაზედ თავს სდებთ, ჰცელქობთ, ჰსჭამთ და ჰქუხთ, თავს ირთობთ ათას-ნაირის სიამოვნებით და სიტკბოებით. იმხიარულე, შეექეც, ჩემო კარგოო, გეუბნებათ დედა. დევ იქეიფოს, ყინი მოიკლას, დრო მოვა და დადულდებაო, იძახის მამა. ყმაწვილი კაცი ჰხტის, დარბის, ქეიფობს ხან ქერა თმიან ქალთან, ხან შავ-თვალ-წარბასთან. გაუმარჯოს ყმაწვილ კაცობას!... ასე ატარებს დროს, ვიდრე ქანც გაწყვეტილი, ღონე მიხდილი, გაქელილი, გაცვეთილი არ იტყვის: ეხლა კი დროა ცოლი შევირთოვო. აილებენ და ამისთანას მისცემენ ხოლმე ნაზს, ყმაწვილს, გამოუცდელს და უმწეო ქალს, ის-ის არის დედის უბისაგან მოშორებულს. საბრალო ქალმა არა იცის-რა ამ წუთის სოფლისა, გარდა იმისა, რომ ყველაფერს უმალვენ, არა იცის-რა ბუნებისა, გარდა იმისა, რომ ყველასფერს უკრძალავენ, არა იცის-რა ტრფიალებისა გარდა იმისა, რასაც თვითონ მიაგნებს ხოლმე. ქანც-გალეული ქმარი უგულოდ დაისაკუთრებს ხოლმე ცოლსა, თითქო რაიმე ნივთიაო და ეუბნება: რა ბედნიერი ხარ, ჩემო კარგო, რომ ჩემისთანა ქმარი შეგხვდაო... ჩემზედ მეტად ვერავის ეცოდინება შენი სიყვარულიო. საბრალო ყმაწვილი ქალი, ჰგრძნობს-რა ამაში ცოტაოდენს სისაძაგლეს და სიაუგეს, ოხრავს და ჰფიქრობს: „ეს რა ამბავია!... ნუ თუ მარტო ეს არის და სხვა არა-რა!... მე კი რას არ მოველოდებოდი!... რა არ მეგონა!...“ უგუნური ბატკანი ყოველს ამას ემორჩილება და იჯერებს; გულ-გრილი დედა-კაცი— აინუნშიაც არ იტარებს და იტანს. ხოლო ცოლი-კი, ჭეშმარიტი ცოლი-კი ამბობს თავის გულში: რაო? სულ ტყუილია!.. სულელობაა!... უკეთესიც არის ხოლმე. განა ამ დაშაქრებულ პირ-წყლიანობისაგან აინთება ხოლმე გულთა-ვნება სიშმაგემდე... დანაშაულობამდე... ცოდვამდე!... განა ამისთანა უმარილო ბედნიერებისათვის რომეო სასიკვდილოდ თავს გაიწირავდა, მუაჯრიდამ რომ ყირამალა წამოვიდა!... ლეანდრი ზღვას შეეჭიდებოდა და გავიდოდა!... ეღირებოდა კი იგი ბედნიერება ამ თავ გაწირვად!.. ტყუილია!... ცხოვრება სხვა გვარიც არის და უფრო მშვენიერიცა... და იგი ცოლი ეძებს, აქეთ-იქით თვალს აკვირვებს, ჰტყობილობს, სწავლობს წუთის სოფელს და ბოლოს იმოდენად მაინც გაისწავლება ხოლმე, რომ შეუძლიან ქმარს თვალი გაუსწოროს და პირ-და-პირ უთხრას: თქვენ მე მამატყუეთო... თქვენთვის ქორწინება, ჯვარის წერა რა არის? თქვენთვის უკანასკნელი საფეხურია ცხოვრების კიბისა, ჩვენთვის კი პირველი. ქრმისათვის დასასრულია ის, რაც ცოლისათვის დასაწყისია. ღმერთო, რა მშვენიერი ნატვრა და ოცნება მქონდა ინსტიტუტში... რასაც კი წადილი გულისა ნეტარებას ჰლამოდა, ყოველს იმას მოველოდი ცოლქმრობაში. ქმარი გმირი და მოტრფიალე,—აი რა იყო ჩემი ნატვრა! მე წარმოდგენილი მყავნდა იგი მშვენიერ, ბუნდოვან და მოხდენილ ყმაწვილ-კაცად: ხან თავ-დაჭერილი და მორჩილი, ხან ყინიანი, შეუპოვარი და თავის ნებისა; ხან ფეხქვეშ ფიანდაზად მეშლებოდა, ხან მეცემოდა, გითარცა ვეფხვი, რომ ხვევნითა დავეჩრჩი... ერთის სიტყვით, მშვენიერს სიზმრებში ვიყავი. და მათთა სამაგიეროდ რას ვხედავ? ღმერთო ჩემო! ერთნაირს ტკაპტკას კედლის საათის ენისას... ერთსა და იმავე უგემურს შიშინს მწვადისას გალუებულს მაყალზედ... არც მარილი, არც პილპილი... არაფერი იმისთანა, რაც ახალისებს და აძლევს გემოსა. მე თქვენს გაცვეთილს გულს, თქვენს საქებურს გამოცდილებას ვეუბნები: მე ყმაწვილი-ქალი ვარ, ჩემს ძარღვებში სალი და მხურვალე სისხლი ჰტრიალებს, მე გრძნობ რაღაც ჩემთვისაც კი გამოურკვეველს წყურვილს დატკბობისას... ღვთის გულისათვის გემუდარებით, გეხვეწებით, ცოტა „ტრუფელები“, ცოტა შამპანური ღვინო!.. და თქვენ კი მეუბნებით: „არა, უკეთესია და უფრო ნოყიერია დაკეფილი ხორცი კარტოფილითაო.“ მადლობელი გახლავართ, მადლობელი მაგ წყალობისათვის!

სიტყვა გაგვიგძელდა და ამაზედ შევწყვიტავთ ლაპარაკს შემდეგამდე. რაკი გაზეთში უადგილობის გამო წერილის შეწყვეტა მოგვიხდა, ჩვენ ვარჩიეთ ამ უადგილო-ადგილას შეგვეწყვიტა. იმიტომ-რომ ჯერ ნასკვი პიესისა, ჩვენის ფიქრით, ამ სიტყვებშია და მერე,—ჩვენა გვსურს მკითხველს დრო მიეცეს ამ ქალის საგულისხმიერო სიტყვებს ღრმად ჩაუფიქრდეს და, ვიდრე ჩვენ ჩვენსას ვიტყოდეთ, მკითხველსაც წინადვე შედგენილი ჰქონდეს თავისი საკუთარი აზრი ჩვენის აზრის შესამოწმებლად.

(შემდეგი იქნება).

⁂ გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ე ერთს ახირებულს ამბავს მოგვითხრობს. ტფილისის ახლო ერთს ვაჭარს, რომელიც ყველის კეთებასაც მისდევდა, ქონება აუწერეს ამას წინადათ. აღწერის დროს აღმოჩნდა, რომ ვაჭარს წინა დღით დაეკლა ორი კარგი ჯიშის ძროხა და ერთი ამისთანავე ჯიშის ბუღა, სამზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი. როცა ჰკითხეს თურმე ვაჭარს, რაზე დაგიკლავს ის უკვდავება საქონელიო, პასუხად უთქვამს: მე არ მინდოდა რომ ეგ საუცხოვო საქონელი ვაჭრობით გაყიდულიყო და მერე ადვილად გამრავლებულიყო კავკასიაშიო.

ამაზე იტყვიანო, ამბობს გაზეთი, რომ ავი ძაღლი არც თითონ სჭამს, არც სხვას შეაჭმევსო.

⁂ მირიმანოვის სახლი გოლოვინის პროსპექტზედ დაუფასებიათ 390,600 მან. ეს სახლი, რომელშიაც ამ ჟამად ოლქის სასამართლო და სამოსამართლო პალატაა მოთავსებული, სამოსამართლო უწყებამ უნდა შეისყიდოსო.

⁂ აქამდე ნებას არ აძლევდნენ ბაქოს ნავთის მრეწველთ ბენზინი გაეგზავნათ რკინის გზით ბათუმში და მერე იქიდამ სამზღვარ გარედ. ბენზინს ძალიან კარგი ფასი აქვს და სამზღვარ გარედ ძალიან საჭიროებენ. ამ ჟამად, როგორც სწერენ გაზ. «კავკაზს» პეტერბურგიდამ, უმაღლესმა მთავრობამ ნება მისცა ბაქოს ნავთის მრეწველთ ბენზინი გადაიტანონ ხოლმე ამიერ-კავკასიის რკინის გზით.

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, რომ იტალიასაც ჰქონია რამდენიმე მადანი ქვა-გუნდისა. 1884 წელს იტალიაში სულ ორი მადანი მოქმედობდა. მადნებზე მუშაობდა 37 კაცი. სულ ამოღებულ იქმნა ამ მადნებიდამ 54,870 ფუთი ქვა-გუნდი, 980,625 მანეთისა. ჩვენში-კი 1885 წლის განმავლობაში შორაპნის მაზრის მადნებიდამ ამოღებულ იქმნა 3,640 800 ფუთი შავი-ქვა და 735 კაცი მუშაობდა.

⁂ ორშაბათს, 15 დეკემბერს, საქალაქო საბჭოს განსახილველი ჰქონდა, მაგრამ ვერ კი განიხილა შემდეგი საგნები: მოხსენება გამგეობისა საქალაქო საავადმყოფოზე, ფულის გამსესხებელის კანტორის გამართვაზე ახალ-წლისათვის. საბჭოს უნდა აერჩია ამავე კრებაზე დირექტორი ამ კანტორისა, მაგრამ ესეც ველარ მოასწრო, რადგან ქალაქის სამერმისო შემოსავალ-გასავლის სიის განხილვას მოუნდა.

* * *

დამაკვირდი!

ერთი საათი, კარგს საქმეზედ მოხმარებული, უფრო მეტად ჰღირს, ვიდრე მრავალ წლის უქმი განცხრომა.
(პიმენტა)

**

ყველაფერის ყიდვა შესაძლებელია და ერის სიყვარულისა კი არა.
(მერიმე)

**

კიცხვას ცოტა ქებაც უნდა თან მიჰყვეს, რომ სიმწარე კიცხვისა ცოტად მოატკბოს.
(რეალი)

**

და კაცთა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,
რად გწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა!
(თ. ნ. ბარათაშვილი)

**

ფეხი მთებრ დასდგი ქვეყანად,
ტინურად დამტკიცებული,
ვითა ქარქვეტი ქართაგან,
არ იქმნა მოტკეცებული.
(მეფე ვახტანგ VI)

**

ბედითი ბნედა, სიკვდილი
რა მიჯნურობა გგონია!
სჯობს საყვარელსა უჩვენნე
საქმენი საგმირონია.
(რუსთაველი)

**

სარწმუნოს მოყვსის შერისხვა
სჯობს მტრის პირის-პირ ქებასა.
(არჩილ მეფე)

საქალაქო საბჭოს კრება.

ორშაბათის საქალაქო საბჭოს კრება ჩვეულებრივ დაიწყო გვიან, ამიტომ-რომ კანონიერი რიცხვი ხმოსანთა თავის დროზედ არ მოვიდა. ხან-და-ხან ისეც გაჭირდება ხოლმე საქმე, რომ კაცებს უგზავნიან ბ-ნ ხმოსანთ და სთხოვენ კრებაზედ მობრძანდითო. ამ ჟამად კრება დაიწყო იმით, რომ საქალაქო ტეხნიკმა, ბ-მა მარკოზოვმა, საბჭოს მოახსენა ქალაქის მიწების გამიჯვნის ვითარება. ამ საგანზედ მკითხველები ახალ ამბავთა შორის დაწვრილებით გაიგებენ.

შემდეგ შეუდგნენ ქალაქის შემოსავლის და გასავლის სიის განხილვას. ოთხი მუხლი შემოსავლისა საბჭომ განიხილა წარსულ ორშაბათს, 8 დეკემბერს.

შემოსავალი:

§ 1) ქალაქის უძრავ ქონების შემოსავალი მომავალს წელს:	
ქალაქის საძოვარის ადგილებიდამ.— — —	4.080 მან.
ქალაქის სახლებიდამ ერევნის მეიდანზე, საპიორნისა და კონსულის ქუჩაზედა და კალიუჩი ბალკაში.— — —	12.183 „
სატიეედამ.— — —	11.000 „
(სატიეები, როგორც გადაწყდა წარსულ კრებაზე, ამას იქით უნდა გაიცეს იჯარით.)	
ბორნების იჯარიდამ.—	6.100 „
ქალაქის მიწების იჯარიდამ. — — —	10.954 „
სახლის ასაშენებელის მასალის დაწყობისათვის სახლის ამშენებელთაგან შემოსასვლელი.	500 „
საყასბოთაგან. — —	29.870 „
საქალაქო მიწების გასყიდვიდამ.— — —	2.000 „
იარმუკის და ავლაბრის მეიდნის დუქნებიდგან.	4.000 „
მნაცაკანოვის და ვერის ხიდიდამ. — — —	14.000 „
წყლის მილებიდამ —	50.000 „
სულ —	145.187 „
§ 2) სასწორებიდამ, მეთულუხჩეებისა, მეფაიტონეებისა და სხვათაგან.	32.000 „
§ 3) დასაფასებელი გარდასახადი სხვა-და-სხვა უძრავის მამულებისაგან.	258.348 „
§ 4) შემოსავალი ვაჭრებიდამ, ტრაქტირებიდამ და ღვინისა და არყის დუქნებიდამ, ბაკებიდამ და სხვანი. —	57,000 „
§ 5) სხვა-და-სხვა არა პირ-და-პირი ხარჯი ქალაქის სასარგებლოდ.	8.806 „
§ 6) ფულის სარგებელი, სამკურნალოდამ და სხვა-და-სხვა ნაირის ჯარიმების შემოსავალი.	31.935 „
§ 7) შემწეობა ერობისა ჯარის-კაცების შესანახავად.— — —	100,000 „
§ 8) ქუჩების მოკირწყლისათვის ასაღები ფული, სარგებელი ხელის გასამართავ თავნისა და სხვა. — —	15.300 „
§ 9) სხვა-და-სხვა ნაირი მოულოდნელი შემოსავალი შეადგენს. —	203.489 „

ასე, რომ სულ შემოსავალს მომავალ 1887 წლისას მოელიან 852.724 მან. სულ ეს ზემოხსენებულნი მუხლნი საბჭომ დაამტკიცა შეუცვლელად და შემდეგ შეუდგა განხილვას დასახარჯის სიისას.

კრების თავს-მჯდომარემ, ქალაქის თავმა, სთქვა, რომ § 1 გასავლისა, რომელშიაც არის მოხსენებული ქალაქის გამგეობისა და საბჭოსათვის საჭირო ხარჯი სულ 73.335 მან. უნდა განიხილოს ახალმა ამორჩეულმა საბჭომ, რომელიც დაიწყებს მოქმედებას მომავალის წლიდამ.

დანარჩენი მუხლები გასავალისა განიხილეს და დაამტკიცეს.

გასავალი:

§ 2) პოლიციაზე დახარჯება. — — —	71.500 მან.
ცეცხლის გამქრობელს რაზმს.— — — —	20.378 „
§ 3) ქალაქის საექიმო საქმისათვის. — —	7.260 „
§ 4) ქალაქის საპყრობილებისათვის.— —	5.584 „
§ 5) ჯამაგირის მოსამატებლად უწინდელ ნამსახურთათვის — —	9.044 „
§ 6) ქალაქის სახლების დაზღვევისათვის.	1.100 „
წყლის მილების ხარჯი.	20.620 „
სახლების შეკეთება. —	2.400 „
§ 7) ქუჩების მოფენა ქვითა, წმენდა, მორწყვა, შეკეთება ჯირგინებისა, ხიდებისა, ქალაქის განათება, ჩირაღდანი და სხვა.— — — —	106.720 „
§ 8) ქალაქის სკოლები.	46.085 „
§ 9) ჯარის - კაცებისათვის სხვა-და-სხვა ხარჯი. — — — —	139.820 „
§ 10) სასწავლებლებს.	5.366 „
სახალხო წიგნთ-საცავს.	1.030 „
ობლების სასამართლოს. — — —	4.835 „
წყლისაგან დამხსნელ საზოგადოებას. — —	326. „
§ 11) მოულოდნელი და სხვა ხარჯი, ქალაქის სამკურნალოსათვის, დასაბეჭდად ქალაქის გამგეობის განაჩენთა და სხვა.— — — —	21.741 „

ეს ზემოხსენებულნი მუხლნი ხარჯისა განხილულ იქმნა და შემდეგ შეუცვლელად დამტკიცდა. ხოლო მე-10 და მე-11 მუხლის გამო იყო ლაპარაკი. ყოველ-წლივ ქალაქის ხაზინა აძლევს 400 მანათს ტფილისის რეალურს სასწავლებელში კურს შესრულებულთა გზის ხარჯად უმაღლესს სასწავლებელში წასვლისათვის. სასკოლო კამიტეტს გადაუწყვეტია ახლა ამ ფულით შეეწიოს მხოლოდ იმ ორ მოსწავლეს, რომელნიც დაიჭერენ ეგზამენს და შევლენ უმაღლესს სასწავლებელში. ბ-ნმა იოანესიანცმა სთქვა, რომ ოცის თუმნით კაცი ვერ იცხოვრებსო და ამიტომ ურჩია საბჭოს დაენიშნა ერთი 300 მან. სტიპენდია და დანარჩენი 100 მან. წასვლისათვის დასახმარებლად გადაედო. ბ-მა ფრიდონოვმა სთქვა, რომ რადგანაც მუსიკის სკოლამ ახლა აღარ ინდომა ქალაქის შემწეობა, სჯობს რომ 400 მანათს მოუმატოთ კიდევ 200 და დავაარსოთ ორი ოც-ოც-და-ათ თუმნიანი სტიპენდიაო. მაგრამ საბჭომ არ შეიწყნარა არც იოანესიანცის და არც ფრიდონოვის აზრი.—შემდეგ ზოგიერთს უნდოდათ მოესპოთ 2,000 მ. ხარჯი, რომელიც არის გადადებული ქალაქის გამგეობასა და საბჭოს განაჩენთა დასაბეჭდავად, მაგრამ საბჭომ ესეც დაამტკიცა.

დანარჩენის მუხლების განხილვა გადაიდო შემდეგის კრებისათვის.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რა სჯობს, მეცნიერება, თუ კანცელარიებში მწვანე მაუდით გადაფენილი სტოლები? ამის პასუხს ჩვენ, რასაკვირველია, არ მოველით იმათგან, ვისაც ანბანი უსწავლია და კანცელარიაში გამტვერიანებული სტოლიც აღთქმულ, სანატრელ ქვეყანად მიაჩნია. ესენი რას იტყვიან, ყველამ ვიცით. ჩვენ უფრო ისინი გვყავს სახეში, ვისაც უმაღლესი განათლება მიუღია და მაშასადამე ესმის, რა განსხვავებაა კანცელარიისა და მეცნიერების შუა, ჩვენ გვყავს სახეში მეცნიერებით აღჭურვილი ახალ-გაზდობა. აი „Судебная Газета“ ამ ახალ-გაზდობაზე რა საყურადღებო ამბავს მოგვითხრობს:

> ამ უკანასკნელ ათს წელიწადში პეტერბურგის უნივერსიტეტში 150-მდე ახალგაზდა კანდიდატი იყო დარჩენილი, რომ სამეცნიერო ასპარეზზე სამოქმედოდ და პროფესორებად მომზადებულიყვნენ. ამ 150 კაცში მეცნიერებას შეჰრჩა მხოლოდ 7, დანარჩენებმა კი მეცნიერებას ზურგი უქციეს და არჩიეს... როგორ გგონიათ?... საქვეყნო, საზოგადო მოქმედება ან ერობაში, ან ქალაქის გამგეობაში?—არა! ამათ არჩიეს კანცელარიებში სამსახური: ვინ სტოლის უფროსის თანაშემწედ შევიდა, ვინ საქმის მწარმოებლის უმცროს თანაშემწის ადგილი დაიჭირა.

კარგად მოუფიქრიათ: მეცნიერებაში რამდენი თავის შეწუხება მოუნდებოდათ კიდევ და ვინ იცის მოეწეოდნენ რასმე, თუ არა, კაცად იქცეოდნენ თუ არა და კანცელარიაში კაცად თუ არა, „ჩინოვნიკებად“ ხომ იქნებიან და იქნებიან.

> მით უფრო, რომ, როგორც ამბობს გაზეთი, იმ შეიდშიაც, რომელნიც უნივერსიტეტში დარჩენილა, ბევრი არაფერი განძია მეცნიერებისათვისაო. სრულიად უნიჭო, უფერულები, ვერც ლიტერატურაში და ვერც მეცნიერებაში ისინი თავს ვერ იჩენენ, თუმცა უნივერსიტეტში კი უჭირავთ ადგილები. და ვინ იცის მთავრობას კი ამ ათს წელიწადში 150 კაცზედ 150 ათასამდე მეტი მანეთი დაუხარჯავს.

რა უნდა მოელოდეს რუსეთის მეცნიერებას შემდეგში ამ გვარ ახალგაზდობისაგანო,---ამბობს ბოლოს გაზეთი. ნუ თუ უწინდებურად ისევ გერმანიიდამ უნდა მოვიწვიოთ მეცნიერებიო?!...

⁂

ლიტერატურაშიაც ფეხს იდგამს მატყუარობა, გაიძვერობა და სხვა ამ გვარი თვალთ-მაქცური ავკაცობა, რომელსაც „კეთილშობილურს „ცარცვა-გლეჯას“ ეძახიან.

ამ ხანებში, მაგალითად, ყაზანში, ერთ მთელს ქალაქში კარგად ცნობილ კაცს, გაზეთს „Волжскій Вѣстникъ“-ის სიტყვით, შემდეგი წერილი მიუღია:

> რადგანაც თქვენ აქაური ჟურნალ-გაზეთობა მოსვენებას არ გაძლევსთ, მუდმივ გლანძლავსთ, ამიტომ, თუ გნებავთ, მე ვიკისრებ შემდეგი სამსახური გაგიწიოთ: პასუხს მე გავცემ ყველას, ვინც თქვენ წინააღმდეგ დასწერს რასმე და, გარდა ამისა, სულ ქება-დიდებას შეგასხამთ. სასყიდელს ამისთვის ბევრს არ გამოგართმევთ: წელიწადში ხუთას მანეთს დაგჯერდებით.
>
> წერილს ქვეშ ეწერა: „პროფესორი დობროვი“.

ბოლოს აღმოჩენილა, რომ ეს გულ-შემატკივარი დაუპატიჟებელი მოსარჩლე გაზეთებისაგან დაჩაგრულ კაცისა, პროფესორი კი არა, ვიღაც „კეთილშობილი ვაჟბატონი“ ყოფილა, რომელსაც ამ საშუალებით ფულის დატყუება სდომებია.

უცხოეთი

ბოლგარია. ბოლგარიის საქმის გამო, „Journal des Debats“-ის სიტყვით, რუსეთი, საფრანგეთი, ოსმალეთი და გერმანია მორიგებულან. ეს მორიგების საქმე ოსმალეთს უდვია თავსა. ინგლისსა და ავსტრი-ვენგრიასაც უნდათ მონაწილეობა მიიღონ ამ მორიგებაში იმ განზრახვითი, რომ შფოთი და უთანხმოება ჩამოაგდონო. ინგლისი და ავსტრია-ვენგრია რეგენტებსა და მინისტრებს ბოლგარიისას რუსეთის წინააღმდეგ აქეზებენო. ამ ჟამად ევროპის მშვიდობიანობა ამ ორ დიდ სახელმწიფოზეა დამოკიდებული; თუ ეს სახელმწიფონი თავს არ დაანებებენ წინააღმდეგობას, ევროპის მშვიდობიანობა ბეწვზედ ეკიდებაო. გერმანიას რჩევა მიუცია ავსტრი-ვენგრიისათვის და უთქვამს, რომ თავი დაანებე წინააღმდეგობას, ორ-პირობას და შეუერთდი სხვათა სახელმწიფოთა სურვილს, რომელთაც მშვიდობიანად სურთ დააბოლოვონ ბოლგარიის გამწვავებული საქმე და წესიერება ჩამოაგდონო. თუ მაინცდა-მაინც შენ შენსას არ დაიშლი და თავს არ დაანებებ ესლანდელს პოლიტიკას, მე ხელი დამიბანია და შენ იყავი პასუხისმგებელი, რაც მაგ პოლიტიკის მიულოდ შეგემთხვესო.

— ბოლგარიის დეპუტაცია ბერლინში გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს სტატ-სეკრეტარს გრაფ გერბერტ ბისმარკს მიუღია. ნუ ეურჩებით რუსეთსაო, უთქვამს გერბერტ ბისმარკს: გერმანიას პირ-და-პირი ინტერესი არა აქვს, რომ ბოლგარიისა და რუსეთის შორის შუამავლობა ითავოს და მორიგება ჩამოაგდოსო. დეპუტატებს შეუჩივლიათ, რომ რუსეთი არ გვირიგდება, ბოლგარიის დამოუკიდებლობას უნდათ შეეხონ და თავისუფლება მოგვისპონო. გრაფს უთქვამს, რომ იმითაც კმაყოფილნი იყავით, რა უფლებათაც განიჭებენ დიდნი სახელმწიფონი და შეუძლებელს ნუ თხოულობთო. ბოლგარიის დეპუტაცია ბერლინიდგან პარიჟში აპირებს წასვლას და პარიჟიდგან კიდევ ლონდონში. ბერლინში ყველა დიდთა სახელმწიფოთა წარმომად-

განელთ მიუღიათ დეპუტაცია, რუსეთის ელჩის გარდა.

საფრანგეთი. ფრეისინე სწორედ იმ დროს გადადგა სამსახურითგანაო, ამბობენ საფრანგეთის გაზეთები, როცა გარეშე პოლიტიკა საფრანგეთისა წესიერსა და საუკეთესო გზაზედ დააყენაო. დიდნი სახელმწიფონი საფრანგეთთან კავშირის დაჭერასა ცდილობდნენ; რუსეთი საფრანგეთს დაუმეგობრდა. ფრეისინეს პოლიტიკის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ გერმანიას პირ-და-პირ კრიზისში ვუდექით, და ყველა ეს ერთმა ამბავმა, იმ ამბავმა, რომ პროფექტების თანაშემწეთა თანამდებობა გავაუქმოთო, გაგვიქარწყლაო. გერმანიის გაზეთები ცას ეწევნენ ფრეისინეს გადადგომით და ინგლისის გაზეთები კი ბანს აძლევდნენ გერმანიის გაზეთებს. «დეე დაუმღერდეს საფრანგეთიო, ამბობენ გერმანიის გაზეთები, ჩქარა დადგება ის დრო, როცა საფრანგეთს განზედ გავაყენებთ, ხმას არ ამოვაღებინებთ და არაფერს საქმეში არ გავრევთო. განა საპოლიტიკო შენობა ქვიშაზედ აიგებაო?»

ამაზედ „Pall Mall Gazette“-ში დაბეჭდილი იყო: ინგლისს კარგადა აქვს დაცდილი, თუ რა ცუდადა მოქმედობს გარეშე პოლიტიკაზედ, როცა სახელმწიფოს შინაგანი მდგომარეობა წესიერს ყოფაში არ არის. ისე სწრაფად იცვლება სამინისტროები ერთი-მეორეზედ საფრანგეთში, რომ შეგვიძლიან გულ-დინჯად განვაგრძოთ ჩვენი საქმე ეგვიპტეში და ყური არ გაიხოვოთ საფრანგეთის მუქარასაო.“

— საფრანგეთის გაზეთების სიტყვით, რესპუბლიკანელებს ძალიან გახარებიათ ფრეისინეს გადადგომა; რადიკალურ გაზეთებს, რომელთაც უნდოდათ, რომ ფრეისინეს ადგილი ბ-ნ ფლოკეს დაეჭირა, რასაკვირველია, არ ესიამოვნათ გობლეს გამინისტრ-პრეზიდენტება; და რაც „ოპორტუნისტებს“ შეეხება, ამას წინად ამ დასის ერთს გავლენიან კაცს უთქვამს: „პატარა გობლე! ჯერ ისეთი კაცი არ დაბადებულა ქვეყნიერობაზედ, რომ გობლესავითა მჟღლდესო!“

— გობლე ამაყია, გამბედავი, უშიშარი, თავის ნათქვამი, ყველაფერს ადვილად იწყებს ხოლმე და ყველაფერს ძულებით უყურებს. ყველა ამას დაუმატეთ ისიც, რომ გობლე არაფერის სახის კაცია, პატარა ტანისაა, ცოცხალი, მოძრავი,— და თვალწინ დაგიდგებათ იმ კაცის სურათი რომელსაც შემთხვევით დღეს საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტის პორტფელი ჩაუვარდა ხელში.

საფრანგეთის საქმეებს ისევ ბ-ნი ფრეისინე ჰმართავს, ფრეისინე იქნება ამას იქითაც სამინისტროს სული და გული, ხოლო ფრეისინეს ყოველსავე აზრსა და მოქმედებას „გობლე“ ერქმევა სახელადაო, ამბობენ საფრანგეთის გაზეთები.

გასართობი

ვის არ გაუგონია ვოლტერის სახელი? ვოლტერი იყო საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი, ფილოსოფოსი და პოეტი, სცხოვრობდა წარსულს საუკუნეში და წარსულ საუკუნეშივე გარდაიცვალა, მისი სახელი კი ცოცხალია დღესაც არამც თუ მარტო საფრანგეთში, არამედ ყველა განათლებულ ქვეყნებში. ვოლტერს სიცოცხლის დროსვე დიდი სახელი ჰქონდა, რას იტყვის ვოლტერიო, დიდს მნიშვნელობას აძლევდნენ. ამიტომ ბევრი ახალ-გაზდა მწერალი, ვიდრე საქვეყნოდ გამოსვლას გაჰბედავდა, თავის ნაწარმოებს ვოლტერს აჩვენებდა ხოლმე, მოიწონებს ვოლტერი თუ არაო. ვოლტერიც, თუ შეატყობდა, რომ ავტორს ნიჭი არა აქვს, შეუბრალებლად შეაკვეცდა ხოლმე ფრთებს გატაცებულს ავტორს.

ერთს ზამთრის დღეში ვოლტერი როგორღაც ეწვია ერთს პოეტს, რომელსაც თავის-თავი მართლა დიდ-პოეტად მიაჩნდა. პოეტმა მაშინვე აიღო თავის გრძელი პოემა და დაიწყო კითხვა. ვოლტერს ძალიან მოსწყინდა ამ უსეირო და უხამს ლექსების სმენა. ამასთან შესციოდა კიდეც, რადგან ლექსების კითხვით გახურებულს პოეტს სრულიად დაავიწყდა ბუხარში ცეცხლის დანთება. პოეტმა ბოლოს როგორც იყო გაათავა კითხვა, მიუბრუნდა ვოლტერს და ჰკითხა:

— როგორ მოგეწონათო?

— ჩემო მეგობარო!... უთხრა სიცივისაგან გაცრეცილმა ვოლტერმა:—თქვენ ლექსებში რომ ცოტა მეტი ცეცხლი იყოს, ან თქვენ ბუხარში ცოტა მეტი მაგისთანა ლექსები, მაშინ არც მე და არც თქვენ სიცივე არ შეგვაწუხებდაო.

**

უცხვირობას ეშველათ. ხშირად ზოგიერთი სნეულება ადამიანს ცხვირს მოსჭამს ხოლმე. უცხვირობა, რასაკვირველია, სასიამოვნო არ არის, ძალიან ამახინჯებს ადამიანსა. ამიტომ ექიმები ცდილობდნენ, რომ, ნამდვილის ცხვირის მაგიერ, გაკეთებული ცხვირები გამოებათ. ხშირად კარგადაც მოსდიოდათ ხოლმე და ლამაზ ცხვირებს აკეთებდნენ. აი ამ ხანებშიაც ვენის გამოჩენილ პროფესორ ბილროტისთვის მიუმართავს ერთს ახალგაზდა ქალსა. ქალი ყოვლად უნაკლო და ლამაზი იქნებოდა, რომ საწყალს, რაღაცა სნეულობის გამო, ცხვირი არა ჰქონოდა მოვარდნილი. პროფესორმა უშველა, ეს პირის სახის დამამშვენებელი ცხვირი მოაბა და ქალი ისევ გაალამაზა. ბილროტმა შუბლზე ტყავი ასჭრა, ცხვირი გაკეთა და მიაკერა ცხვირის ადგილას. ცხვირი საუცხოვო გამოვიდა. ყველა ეს ნახევარ საათის განმავლობაში მოხდა. ამის შემდეგ ქალს სარკე მისცეს და უთხრეს: აბა ეხლა ნახეთ თქვენი სახეო. ქალმა რომ თავის სახეზე მშვენიერი ცხვირი დაინახა, ისე გაეხარდა, რომ ტირილი დაიწყო თურმე და არ იცოდა, რითი გადაეხადა მადლობა პროფესორისათვის. ამ ამბავს ბევრი პროფესორები და სტუდენტები დაესწრნენ.

**

გერმანიის იმპერატორი იოსები და ქმრის მომდურავი დედა-კაცი. ერთხელ გულ-კეთილს იმპერატორს გერმანიისას იოსებ II-ს, რომელიც იმპერატორობდა 1763—1790 წლამდე, ეახლა ერთი დედა-კაცი და ქმრისაგან განქორწინებას ჰთხოულობდა იმ მიზეზით, რომ ცუდად მეპყრობაო.

— ძალიანა ვწუხვარ, მაგრამ ეგ ჩემი საქმე არ არისო, უბრძანა იმპერატორმა.

— იმდენად გაკადნიერდა ერთხელ ჩემი ქმარი, რომ თქვენც-კი უკადრისად მოგიხსენიათ, ხელმწიფეო.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ეგ თქვენი საქმე არ არისო.

დეპეშა

15 დეკემბერი

მოსკოვი. მოსკოვის გუბერნიის საერო კრებამ გარდასწყვიტა სამართალში მიეცეს ბრონიცკის მაზრის „ერობის“ გამგეობა წარსულის სამის წლისა. სამართალში უნდა მიეცნენ: თავ-მჯდომარე ს. ა. ზემბოვი, წევრნი ო. ტ. ტიმოვი და პ. პ. ბორუნოვი, რომელთაც „ერობის“ ფულიდგან 10,255 მანეთი გაუფლანგავთ.

ვენა. «Polit. Corresp.»-ს შემდეგს ამბავს აუწყებენ სოფიიდამ: ოსმალეთის დიდმა ვეზირმა სოფიაში გამოგზავნა ნოტა, რომელშიაც ჩართული იყო სამშობლოდამ გადახვეწილ ბოლგარიელების მოხსენება. ამ ნოტაზედ სარეგენტო მთავრობამ ბოლგარიის სტამბოლელ აგენტის ვულკოვიჩის პირით ასეთი პასუხი მისცა: წერილში მოხსენებული საჩივარი შეეხება ბოლგარიის შინაგან საქმეთა და ამ საქმეში ოსმალეთს, ბერლინის ხელთ-შეკრულობის მადლით, ნება არა აქვს ჩაერიოსო.

16 დეკემბერს.

პეტერბურგი. ნავთის საქმის გამო შემდგარს კამისიას გუშინ კრება ჰქონდა და ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა, რომ ნავთს არ დაედოს ბაჟი, რომელიც განზრახული ჰქონდათ.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

დეკემბერი 31 დღით არის

17 დღე ოთხშაბათი. წმ. წინ.-მეტყ. დანიელ და სამთა ყრმათა: ანანია, აზარია და მისაილ. კათოლ. დღის ღვთის-მსახურება. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—20. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—38; მთვარე ამოდის 10—6, ჩადის 8—28.

18 დღე ხუთშაბათი. წმ. სევასტიანე. კათოლ. მოლოდინი ყოვლად წმ. ქალწ. მარიამის დაბადებისა. სომეხ. წმ. ქალწ. ინდოსი და დომინესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—49. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—39; მთვარე ამოდის 10—38, ჩადის 9—24.

19 დღე პარასკევი. წმ. მოწ. ბონიფატე, გრიგოლ არხიეპისკ. კათოლ. 19-სა და 20-ს დღის ღვთის მსახურება. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3—18. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—40; მთვარე ამოდის 11—8, ჩადის 10—21.

20 დღე შაბათი. მოწ. ეგნატისა ეპისკ. სომეხ. წმ. პირველ-მოწამ. სომეხთა მეფისა აბგარისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8—47. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—41; მთვარე ამოდის 11—35, ჩადის 11—22.

21 დღე კვირა. ქალწ. მოწ. იულიანასი. კათოლ. მე-4 კვირა ადვენტისა. სომეხ. მე-5 კვირა ჰისნაკის მარხვითგან (ქორწინების ნება ეძლევათ). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4—25. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—41; მთვარე ამოდის 12—1, ჩადის 12—0.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3 ›
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჭვავის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . .	3½ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›
სუკი. . . .	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	7 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	6 ›
› 2 ›	5 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რავი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რავი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

პეტერბურგის ბირჟა, 12-ს დეკემბერს 1886 წ.

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
ხუთ მანათიანი ოქრო	—	—	8 მ. 85 კ.
ტამოჟნის კუპონები.	—	—	171¾ მ ნ.
5% პირველის შინაურის სესხის მომგები ბილეთი	—	—	242¾ მან.
— მეორისა	—	—	223¼ მან.
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	—	95½	—
ქუთაისის ბანკისა	—	95½	—

განცხადებანი

ახალი წიგნი
(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—29)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში

ლექსნი

თქმულნი მეფის თეიმურაზ (1591—1665) პირველისაგან, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისა. ფასი 30 კაპ. (3—2)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1887 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით . . .	10 მ. — კ.	6 თვით . . .	6 მ. — კ.
11 „ . . .	9 „ 50 ›	5 „ . . .	5 „ 25 ›
10 „ . . .	8 „ 75 ›	4 „ . . .	4 „ 75 ›
9 „ . . .	8 „ — ›	3 „ . . .	3 „ 50 ›
8 „ . . .	7 „ 25 ›	2 „ . . .	2 „ 75 ›
7 „ . . .	6 „ 50 ›	1 „ . . .	1 „ 50 ›

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისას გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ.“

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი, სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისთვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозв. ценз. Тиф. 16 декабря, 1886 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე